შეთანხმება №2

გურჯაანის მუნიციპალიტეტსა და შპს „გეო-ტექს" შორის გამარტივებული შესყიდვის (SMP190000955) საშუალებით 2019 წლის 24 მაისს გაფორმებულ №149 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. გურჯაანი

3 სექტემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი (ს/კ 227765022) მერი არჩილ ხანდამაშვილი და მეორეს მხრივ შპს „გეო-ტექი" (ს/კ 427722217) დირექტორი ზვიადი ბერიძიშვილი შევთანხმდით შემდეგზე: მხარეთა შორის 2019 წლის 24 მაისს გაფორმებულ №149 ხელშეკრულებაში (სოფელ ჩალაუბანში წყაროს წყლის აღდგენის სამუშაოები) გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 12 მარტის №435 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს დასკვნის საფუძველზე სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულების მე-2 მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით:

1. „მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
   ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 6809,37 (ექვსი ათას რვაას ცხრა ლარი და 37 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისინებული გადასახადების ჩათვლით."
2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.

შემსყიდველი:

გურჯაანის მუნიციპალიტეტი
მერი

არჩილ ხანდამაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „გეო-ტექი"
დირექტორი

ზვიადი ბერიძიშვილი

Gurjaani Municipality

Digitally signed by Gurjaani Municipality
Date: 2019.09.03 17:17:57 +04'00'

KA000063864630319

**№12881** **02 / სექტემბერი / 2019 წ.**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ ხანდამაშვილს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის,
არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის
სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის
შემსრულებლის ბიჭიკო მაისურაძის

## მოხსენებითი ბარათი

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს "გეო-ტექი" სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აწარმოებს სოფელ ჩალაუბანში წყაროს წყლის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. წარმოგიდგენთ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე, მომსახურეობისა და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნას და შპს "გეო-ტექი"-ს მიერ წარმოდგენილ სოფელ ჩალაუბანში წყაროს წყლის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვას.
გთხოვთ შემდგომ რეაგირებას.
დანართი 5 pdf ფაილი.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის,
არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის
სამსახურის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ბიჭიკო მაისურაძე

# დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. გურჯაანი

26. 08. 2019 წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე, მომსახურეობისა და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მერის 2019 წლის 12 მარტის №435 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ განიხილა შპს „გეო-ტექ“-ის 2019 წლის 8 აგვისტოს განცხადება, რომლითაც ითხოვს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფელ ჩალაუბანში მიმდინარე წყაროს წყლის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტირებას.

2019 წლის 24 მაისს გაფორმებული №149 ხელშეკრულების (SMP1900000955) ფარგლებში შპს „გეო-ტექი“ ანხორციელებს სოფელ ჩალაუბანში წყაროს წყლის აღდგენის სამუშაოებს. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო წყაროს დაზიანებული ეკრანის აღდგენა - რკ-ის ეკრანის კედელზე რკ-ის პერანგის მოწყობა. პერანგის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ არსებული ეკრანი მოწყობილი იყო არმირების გარეშე და მიწის მოხსნის შემდეგ ბეტონის ეკრანი მთლიანად ჩამოიშალა. საჭიროა ახალი რკ-ის წყალშემკრების მოწყობა, მშენებელი ითხოვდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირებას. აღნიშნული განცხადება გადაიგზავნა საპროექტო ორგანიზაციაში - ი/მ ზურაბ ნაცვლიშვილი (წერილის №6925-გ 12/08/2019), საიდანაც 23 აგვისტოს მოვიდა პასუხი და კორექტირებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საპროექტო ღირებულებიდან გაუსვლელად. ამის შემდეგ შპს „გეო-ტექმა“ გააფასა საპროექტოს მიერ კორექტირებული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები სახელშეკრულებო ღირებულებიდან გაუსვლელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სოფელ ჩალაუბანში წყაროს წყლის აღდგენის სამუშაოები განხორციელდეს შპს „გეო-ტექის“ მიერ წარმოდგენილი სოფელ ჩალაუბანში წყაროს წყლის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე: ა. ხანდამაშვილი

კომისიის წევრები:

გ. მუსალბიშვილი

ნ. სტეფნაძე

კ. ბერიძიშვილი

ბ. მაისურაძე

ვ. კირვალიძე

გ. ყვირალაშვილი

ზ. რაქვიაშვილი

ლ. კობიაშვილი

ა. კაპანაძე

# გურჯაანის მუნიციპალიტეტი

სოფელ ჩალაუბანში წყაროს წყლის აღდგენა რეაბილიტაციისთვის შედგენილი კორექტირებული

## ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

| № | სამუშაოს დასახელება | განზო მილება | რაოდე ნობა | | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | |
| 1 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზის გასუფთავება ეკალ ბარდისაგან, მოსწორება გრუნტის მოჭრა გადაადგილებით 30მ-ზე, | 1000მ3 | | 0,05 | | 0,00 | | 0,00 | 15000,00 | 750,00 | 750,00 |
| 2 | წყალმიმღების ტერიტორიის გაწმენდა ნატანისგან და კედლის ნანგრევებისგან ხელით რთულ პირობებში გვერძე დაყრით | 100მ$^3$ | | 0,30 | | 0,00 | 700,00 | 210,00 | | 0,00 | 210,00 |
| | მესამე კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით კედლის საძირკვლის მოსაწყობად | 100მ$^3$ | | 0,10 | | 0,00 | 3000,00 | 300,00 | | 0,00 | 300,00 |
| | საყრდენი კედლის ქვეშ ღორღის საფუძველის მოწყობა სისქით 10 სმ | მ$^3$ | | 0,80 | 30,00 | 24,00 | 100,00 | 80,00 | 0,00 | 0,00 | 104,00 |
| | რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა სიმაღლით 2.5მ (15X1X0.4) + (15X1.5X0.3) | მ$^3$ | | 13,0 | | 0,00 | 30,00 | 390,00 | | 0,00 | 390,00 |
| | არმატურა ა-III დ-12 | გრძ/მ | პროექტ | 585,00 | 1,50 | 877,50 | | 0,00 | | 0,00 | 877,50 |
| | ბეტონი ბ-22,5 პლასტიფიკატორის დანამატით | მ$^3$ | 1,015 | 13,2 | 110,00 | 1451,45 | | 0,00 | | 0,00 | 1451,45 |
| | საყრდენ კედლზე რკ/ბეტონის დამჭერი ჯებირების მოწყობა. (3 ადგილო) | მ$^3$ | | 1,0 | | 0,00 | 30,00 | 30,00 | | 0,00 | 30,00 |
| | არმატურა ა-III დ-12 | გრძ/მ | პროექტ | 42,00 | 1,50 | 63,00 | | 0,00 | | 0,00 | 63,00 |
| | ბეტონი ბ-22,5 პლასტიფიკატორის დანამატით | მ$^3$ | 1,015 | 1,0 | 110,00 | 111,65 | | 0,00 | | 0,00 | 111,65 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კედლის უკან მიწის უკუ ჩაყრა ექსკავატორით | 1000 $მ^3$ | | 0,03 | | 0,00 | | 0,00 | 15000,00 | 450,00 | 450,00 |
| | ჯ ა მ ი | | | | | | | | | | **4737,60** |
| | მასალების ტრანსპორტირება | **4%** | | | | | | | | | **189,50** |
| | ჯ ა მ ი | | | | | | | | | | **4927,10** |
| | ზედნადები ხარჯები | **8%** | | | | | | | | | **394,17** |
| | ჯ ა მ ი | | | | | | | | | | **5321,27** |
| | გეგმიური დაგროვება | **7%** | | | | | | | | | **372,49** |
| | ჯ ა მ ი | | | | | | | | | | **5693,76** |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები | **1%** | | | | | | | | | **76,89** |
| | ჯ ა მ ი | | | | | | | | | | **5770,66** |
| | დ.ღ.გ. | **18%** | | | | | | | | | **1039** |
| | ჯ ა მ ი | | | | | | | | | | **6809,37** |

შპს. გეო-ტექ-ის დირექტორი:

"GEO-TECH" LTD * 427732217 * "გეო-ტექ" შპს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ არჩილ ხანდამაშვილს

შპს „გეო - ტექ" - ის დირექტორის

ზვიად ბერიძიშვილის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ #149 .24.05.2019წ. ხელშეკრულების საფუძველზე დავიწყე სოფ. ჩალაუბნის წყაროს წყლის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები არსებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდა რომ მიწით დაფარული ბეტონის ეკრანი იყო არმირების გარეშე და მიწის მოხსნის შემდეგ დაიშალა.

აქედან გამომდინარე საჭიროა ახალი რკინა - ბეტონის წყალშემკრების მოწყობა რისთვისაც აუცილებელია არსებული ხარჯთაღრიცხვის კორექტირება და სამუშაოს მიწოდების ვადის გაზრდა.

გთხოვთ, გამოყოთ კომისია აღნიშნული პრობლემის შესასწავლათ რათა დროულად და სრულყოფილად დასრულდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შპს „გეო - ტექ" - ის დირექტორი ზ. ბერიძიშვილი

8.08.2019 წ.

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ინდ.მეწარმე "ზურაბ ნაცვლიშვილი"


ახმეტა სოფელი მატანი ტელ. 5-99-22-87-71


№-38 23 აგვისტო 2019წ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ არჩილ ხანდამაშვილს

თქვენი ამა წლის 12 აგვისტოს №6925-გ და შპს „გეო-ტექ"-ის 8 აგვისტოს მომართვის საფუძველზე, რომელიც აწარმოებს სოფელ ჩალაუბნის წყლის სათავის რეაბილიტაციის სამუშაოებს, ინდ.მეწარმე ზურაბ ნაცვლიშვილის საპროექტო ჯგუფის მიერ ადგილზე შესწავლილ იქნა არსებული მდგომარეობა და გირდგენთ კორექტირებულ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას სახელშეკრულებო ღირებულებიდან გაუსვლელად

პატივისცემით

ინდ.მეწარმე„ზურაბ ნაცვლიშვილი": /ზ.ნაცვლიშვილი/